სამაგისტრო ნაშრომი - „სოციალური რეალიზმი, როგორც სახელმწიფოს კრიტიკის ფორმა კენ ლოუჩის შემოქმედებაში“

ლაზარე ჩიქოვანი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კინომცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის კინომცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ლილი გლურჯიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად,

ლაზარე ჩიქოვანი, 12.06.2026

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი ეძღვნება ცნობილი ბრიტანელი რეჟისორის, კენ ლოუჩის შემოქმედების კომპლექსურ კვლევას ბრიტანული სოციალური რეალიზმის ტრადიციისა და კინოენის ევოლუციის კონტექსტში. კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს იმის ანალიზი, თუ როგორ გარდაიქმნება რეჟისორის რეალისტური ესთეტიკა სახელმწიფო ინსტიტუტებისა და ბიუროკრატიული აპარატის კრიტიკის მძლავრ იარაღად. ნაშრომში დასმულია სამი ცენტრალური საკვლევი კითხვა, რომლებიც ფოკუსირებულია კეთილდღეობის სისტემის კრიტიკაზე, ბიუროკრატიული მექანიზმების ვიზუალიზაციასა და სახელმწიფოსა და ინდივიდს (მუშათა კლასს) შორის არსებული კონფლიქტის სისტემურ გამოაშკარავებაზე.

აღნიშნული პოლიტიკურ-ესთეტიკური ფენომენის შესასწავლად ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგია. კვლევის მიზნობრივ ობიექტებად შერჩეულია რეჟისორის სამი საკვანძო ფილმი: „ჭიამაიავ, ჭიამაიავ“, „მე, დენიელ ბლეიკი“ და „უკაცრავად, გამოგვრჩით“, რომლებიც ბიუროკრატიული ანტაგონიზმისა და თანამედროვე შრომის ბაზრის დერეგულაციის უნიკალურ შემთხვევებს წარმოადგენს.

კვლევის შედეგად ნათელი ხდება, რომ კენ ლოუჩის ფილმებში სოციალური რეალიზმის მხატვრული ენა წარმოადგენს მიზანმიმართულ კონტრნარატივს. ნაშრომი იკვლევს, როგორ ახდენს დამთრგუნველი, ბიუროკრატიული სისტემის ვიზუალიზაციას რეჟისორი - რეალისტური, თითქმის დოკუმენტური სტილით, არაპროფესიონალი მსახიობების შერჩევით, სივრცის დემოკრატიული განათებითა და ფიქსირებული კამერის მეშვეობით. შერჩეული ფილმები მაყურებელს სთავაზობს ნეოლიბერალური სისტემის უშუალო ფენომენოლოგიურ გამოცდილებას, ააშკარავებს კაპიტალისტურ აბსურდს და მორალურ დონეზე მოითხოვს მუშათა კლასის მოქალაქეობრივი უფლებებისა და ღირსების აღდგენას.

წინამდებარე ნაშრომი ამდიდრებს თანამედროვე კინომცოდნეობით დისკურსს და ნათლად წარმოაჩენს ეკრანულ ესთეტიკურ ფორმასა და სახელმწიფოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ კრიტიკას შორის მჭიდრო კავშირს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: კენ ლოუჩი, რეალიზმი, სოციალური რეალიზმი, ნეოლიბერალური, გიგ-ეკონომიკა, ბიუროკრატიული სისტემა, მუშათა კლასი.

Abstract

This Master's thesis is dedicated to a comprehensive study of the oeuvre of the renowned British director Ken Loach, within the context of the British social realism tradition and the evolution of cinematic language. The primary objective of the research is to analyze how the director's realistic aesthetics transform into a powerful instrument for criticizing state institutions and the bureaucratic system. The thesis poses three central research questions focusing on the critique of the welfare system, the visualization of bureaucratic mechanisms, and the systemic exposure of the conflict between the state and the individual (the working class).

To examine this political-aesthetic phenomenon, the thesis utilizes a qualitative research methodology. Three key films by the director were selected as target objects of the study: „Ladybird, Ladybird", „I, Daniel Blake", and „Sorry We Missed You", which represent unique cases of bureaucratic antagonism and the deregulation of the modern labor market.

The research findings demonstrate that the artistic language of social realism in Ken Loach's films serves as a deliberate counter-narrative. The thesis reveals how the director visualizes the oppressive bureaucratic system through a realistic, almost documentary style, the casting of non-professional actors, democratic lighting of space, and a fixed camera. The films offer the viewer a direct phenomenological experience of the neoliberal system, expose capitalist absurdity, and, on a moral level, demand the restoration of the civil rights and dignity of the working class.

This thesis enriches contemporary film studies discourse and clearly highlights the close link between on-screen aesthetic form and the political-economic critique of the state.

Key Words: Ken Loach, realism, social realism, neoliberal, gig economy, bureaucratic system, working class.

მადლობა

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის დასრულება ჩემთვის მნიშვნელოვანი ეტაპია, რომელიც ვერ განხორციელდებოდა იმ ადამიანების მხარდაჭერის გარეშე, რომლებმაც უდიდესი წვლილი შეიტანეს კვლევაზე მუშაობის თითოეულ ეტაპზე.

უპირველეს ყოვლისა, დიდ მადლობას ვუხდი ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს. მისი ფასდაუფებელი პროფესიული რჩევები, მხარდაჭერის მუდმივი მზაობა და ყოველი რთული ეტაპის დროს გამოხატული ემოციური თანადგომა გახდა იმის გარანტი, რომ წინამდებარე კვლევას მიეღო სრულფასოვანი, აკადემიური სახე.

განსაკუთრებული მადლიერება მინდა, გამოვხატო თავად რეჟისორ კენ ლოუჩის მიმართ. მადლობას ვუხდი მას თავისი თავდადებული, უკომპრომისო შემოქმედებითი საქმიანობისთვის, სოციალური სამართლიანობისთვის ბრძოლისა და მსოფლიო კინოხელოვნებაში შეტანილი იმ ეპოქალური წვლილისთვის, რომელიც წინამდებარე სამეცნიერო ნაშრომის უმთავრეს შთაგონების წყაროდ და საკვლევ ობიექტად იქცა.